

მეფობიდან მამაშვილობამდე

მამაშვილობა-ეს სიტყვაც ხომ ძალზე თბილია, თბილი და ტკბილი იმ შაქარყინულივით , მეფე რომ გიგზავნის..

როცა საქმე შვილებს ეხება, მამებისათვის მნიშვნელობა ეკარგება სად იმყოფებიან, ცხოვრების რა ეტაპს გადიან, რა თანამდებობა უჭირავთ, და ბოლოს და ბოლოს, რას იტყვის ხალხი..

ყველა მამა-შვილის ურთიერთობაშია რაღაც ღიმილისმომგვრელი, სასიამოვნოდ გამოსასწორებელი, ან სულაც გასაბრაზებელი, არც მეტი არც ნაკლები, მამაშვილობა ყველასთვის ერთია, „იმერეთის მეფობას არგუნებს თუ დანელიას მელორედ გააჩენს უფალი“ .მერე რა, რომ მეფე ერეკლე მტერს შიშის ზარს სცემდა? ის მამაა და მამობრივმა მზრუნველობამ ქალიშვილისადმი მიწერილ წერილშიც იჩინა თავი.

ცალ ხელში ხმალი უჭირავს და მტერს გააფთრებული ებრძვის, ცალ ხელში კი მაღალი ხარისხის აღმოსავლური ქაღალდი, ყავისფერი მელნით წერს წერილს უსაყვარლესი ქალიშვილისათვის.. ალბათ, როგორი სულმოუთქმენლობით გახსნა თეკლა ბატონიშვილმა წერილი, სათითაოდ დააგემოვნა ბროწეულები, „ნერწვებს ყლაპავდა“ ხვალინდელი ტკბილეულის მომლოდინე, თვალი გაექცა მოჩუქურთმებული „ლამაზ-ლამაზი ორნამენტებისაკენ, სხვადასხვა სახელმწიფოს ბეჭდით სახით რომ გაულამაზა მამამ, წერილს, „მამა ერეკლემ“ თან გააყოლა სითბოც, იუმორიც ,შექებაც, სიყვარულიცა და მონატრებაც. მეფე განსაკუთრებულად ანებივრებდა ნაბოლარა ქალიშვილს, თეკლა ბატონიშვილს, სულაც არ გამკვირვებია მეფისაგან ამგვარი თბილი ურთიერთობა საკუთარ შვილთან, ჯარისკაცებსაც ხომ მამობრივი სიყვარულით მიმართავდა კრწანისის ბრძოლის წინ:

„და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა,

განამხნევებდა მამობრივის ხმით“

მსოფლიო კვლევითი ორგანიზაციები დღეს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მამაშვილური ურთიერთობის კვლევას, თუმცა, ქართული ისტორია და ლიტერატურა არაჩვეულებრივ მაგალითებს გვინახავს, რად ღირს გავიხსენოთ ხევიზბერი გოჩასა და ონისეს მამაშვილობა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის ფსიქოლოგი, მაიკლ ლამი, რომელიც მამებზე დაკვირვებას 1970 წლიდან აწარმოებს, ერთგან წერს:მთავარია მამები შვილებს ემოციურად დაუახლოვდნენ და მათი საჭიროებები დააკმაყოფილონ.“ ამას განსხვავებული ადამიანები განსხვავებულად აკეთებენ, ბევრი სვამს კითხვას:ეს მამებმა მამაკაცურად ხომ არ უნდა გააკეთონ? პასუხი ერთია-არა. ისინი ისე უნდა მოიქცნენ,როგორც სწამთ და საჭიროდ ჩათვლიან. სწორედ ასე იქცეოდა ერეკლე მეფე,მას სწამდა,რომ შექებით შვილის გულს გაახარებდა: „შენ ხომ იცი და

გონიერი ქალიცა ხარ“, უფასებდა ქალიშვილს გარჯასა და შრომას: „უცხოს ოსტატობითა და მდივანწიგნით იყო შენი გარჯილობა“.

ბროწეულებითა და კანფეტებით დატვირთული მეფე, ისეთივე ახლოა ჩემთვის, როგორც მამა, რომელიც სამსახურიდან დაბრუნებული, „რაღაცას“ მაინც მოგიტანს და ზოგჯერ ჩვენი სიგიჟისა და აღფრთოვანების ზედმეტად გამოვლენისათვის „ბიჭოსაც“ შემოგვკახებს..მეფემ თეკლა ბატონიშვილს აქეზებდა მისი ვაჟკაცური ხასიათის გამო, ამაზე მეტყველებს სახუმარო ბრძანებაც:"გიბოდეთ ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს - თეკლა-ბიჭსა. თუმცა, აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდგან გიწყალობებ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველას შენს ძმებსა და დებს ამიერიდან გიწოდონ თეკლა-ბიჭი". ამ დოკუმენტით კი ერეკლე მეფის მოსიყვარულე, იუმორისტული ხასიათი დავინახეთ.

მაინც რა ტკბილია მამაშვილობა, რა სათუთი. მეფობასაც ხომ ასე ამდაბლებს თეკლა ბიჭის გახარების სურვილი და რა მოსატანია ამ სურვილთან სამეფო გვირგვინი. 300 წლის შემდეგაც იგივე ყავლი აქვს მამაშვილობას, დღესაც, 21-ე საუკუნის ქართველ შვილებსაც არ გვავიწყდება ერეკლე მეფის ნაამაგარი, კიდევ უფრო საინტერესოა სხვა კუთხით დანახული ერეკლე, მისი შინაგანი სამყარო. ვისურვებდი, ყველა ქართველმა გაიცნოს პატარა კახი, როგორც „მამა ერეკლე“ , ახლა კი, გილოცავთ 300 წლის იუბილეს ერეკლე მეფევ, გილოცავთ ყველა ქართველი შვილის სახელით, გისურვებთ კიდევ მრავალ წელს გაჰყვეს ჩვენს ისტორიას თქვენი სახელი, როგორც ძლიერი მეფისა და უსაყვარლესი მშობლისა.

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე ზაზა თაბაგარი

ასაკი: 14 წელი